სოციალური ქსელები - დემოკრატია თუ უსაფრთხოება?

2011 წლის ნოემბრის თვეში დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქში გაიმართა კონფერენცია კიბერსივრცის შესახებ, რომლის მთავარი მიზანი იყო კიბერსივრცის სწორ გამოყენებასა და მის განვითარებაზე საერთაშორისო კონსენსუსის შემუშავება, რისთვისაც აუცილებელია მსოფლიო საზოგადოების კოლექტიური ძალისხმევა, სადაც მთავარი როლი ეკისრება მოცემულ სფეროში მომუშავე ადამიანებს. კონფერენციაზე მოწვეულთა შორის იყვნენ არამარტო სხვადასხვა ქვეყნის მთავრობის წევრები, არამედ სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის წარმომადგენლებიც. კიბერ უსაფრთხოებას, და საერთოდ ინტერნეტ სივრცის თემას ნამდვილად სჭირდება სათანადო შეფასება, საერთაშორისო კონსენსუსის მისაღწევად კი აუცილებელია არსებილი პრობლემის აქტუალიზაცია თითოეული ქვეყნის მიერ.

ლონდონის კონფერენციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უილიამ ჰეიგი, რომლის მოსაწვევ სიტყვაში ნათქვამია, რომ „კიბერსივრცის გაჩენა და განვითარება ჩვენს სამყაროს და ჩვენს ცხოვრებას სრულიად ცვლის, რამაც უკვე გლობალური ხასიათი მიიღო და შესაბამისად მოითხოვს გლობალურ მიდგომასა და კოორდინირებული საპასუხო ზომების გატარებას. თუმცა დღემდე გაურკვეველი და არამიზანმიმართულია დებატები იმის თაობაზე, თუ რა სახის ზომებია გასატარებელი.....ამაზე არცერთი ქვეყნის მთავრობას პასუხი არა აქვს. ჩვენ ერთად უნდა განვიხილოთ, როგორ შევინარჩუნოთ ინტერნეტის ეკონომიკური და სოციალური სარგებელი, ვიბრძოლოთ კრიმინალისა და კიბერ - საფრთხეების წინააღმდეგ ისე, რომ არ ჩავახშოთ მომავალი ტექნოლოგიური ინოვაციები.“ და აქვე დავამატებდი, რომ არ შეილახოს დემოკრატიის უმთავრესი მონაპოვარი - ადამიანის უფლებები.

ლონდონის კონფერენციის შემდეგ არცთუ ისე დიდი დრო გავიდა, მაგრამ ჰეიგის მიერ ნახსენები პრობლემა ისევ პრობლემად რჩება. სოციალური ქსელები, რომლებიც საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს მოიცავს, კარგად გამოიყენება დესტაბილიზაციის

მიზნებისთვის, შიდა პოლიტიკური, ეკონომიური თუ სოციალური ტემპერატურის კონტროლისთვის. ამის გამო სოციალური ქსელების სწორად გამოყენების გზებს მსოფლიოს მთელი საზოგადოება ეძებს. მთავრობის მხრიდან სოციალურ ქსელებზე მონიტორინგის განხორციელება და კონტროლის დაწესება გარკვეულწილად ადამიანის უფლებების დარღვევად აღიქმება, როცა არდაწესებას წარმატებით იყენებენ კიბერდამნაშავეები, მათ შორის ტერორისტული ორგანიზაციები. ეს ფაქტი კი ერთგვარი დილემის წინაშე აყენებს ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობებს, რომლებიც ცდილობენ პრობლემა თავისებურად მოაგვარონ, რაც ხშირ შემთხვევაში უშედეგოდ მთავრდება. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პრემიერ - მინისტრის დევიდ ქემერონის მხრიდან გაკეთებულმა განცხადებამ სოციალურ ქსელებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების შესახებ საზოგადოებრიობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მთავრობამაც „დათმო“ დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე. ასევე უშედეგოდ დამთავრდა კონტროლის დაწესების მცდელობა რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში, სადაც იყო არა უბრალო განცხადებები მთავრობის მხრიდან, არამედ ადგილი ჰქონდა კონკრეტულ ქმედებებს, კერძოდ, ოპოზიციურ ბლოგებზე განხორციელდა კიბერ - შეტევები. ამერიკელი მეცნიერების გამოკვლევებით, აღმოჩნდა, რომ სოციალური ქსელების კონტროლი საკმაოდ იოლი ყოფილა, რაც პირდაპირ კავშირშია თავად ქსელის სტრუქტურასთან და მის ჰომოგენურობასთან. სოციალური ქსელის საშუალებით სასურველი შედეგის მისაღწევად, აუცილებელია ქსელის მხოლოდ 20 პროცენტ მომხმარებელში საჭირო ინფორმაციის გავრცელება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდითაც გარკვეულწილად იზღუდება პიროვნების თავისუფალი არჩევანისა და ნების გამოხატულობის საშუალება. ფაქტიურად, სოციალური ქსელის მეშვეობით მომხმარებელს აწვდი ისეთ ინფორმაციას ან იმ სახით მიაწვდი მასალებს, რაც პირდაპირ კავშირშია მისაღები შედეგის დადგომასთან და იწვევს შენთვის სასურველი მიზნის მიღწევას, რაშიც ქსელის მომხმარებელი, მისდაგაუცნობიერებლად „გეხმარება“. ესეც შეიძლება მიჩნეულ იქნას სოციალურ ქსელებზე კონტროლის დაწესების ერთ - ერთ მეთოდად.

უნდა ითქვას, რომ ლონდონის კონფერენციას წინ უძღოდა საპროტესტო აქციები არამარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ მთელს ევროპაში. ოკეანის მეორე სანაპიროზე, შეერთებული შტატების ქალაქებში კი პარალელურად იმართებოდა ანტისახელმწიფოებრივი აქციები სახელწოდებით „დავიკავოთ უოლსტრიტი“. ასეთ აქციებს საფუძვლად ედო არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. მათი ორგანიზება, მართვა და კოორდინაცია ხდებოდა სწორედ სოციალური ქსელების საშუალებით, რომლებიც აქტიურად იქნა გამოყენებული პროტესტის გამოსახატავად და ქუჩაში მასიური არეულობების მოსაწყობად. ფაქტიურად, დასავლეთი პირველად წააწყდა სოციალური ქსელების მეორე მხარეს და ევროპელი ხელისფულების შეშფოთება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საპროტესტო აქციებს უფრო მასშტაბური ხასიათი არ მიეღო, არ გადაზრდილიყო პოლიტიკურში და არ ყოფილიყო გამოყენებული ულტრა - მემარცხენე ოპოზიციური ძალების მიერ. ყოველივეს კი წინ უძღოდა „არაბულ გაზაფხულად“ წოდებული მოვლენები, რაშიც დიდი და შეიძლება ითქვას გადამწყვეტი როლი სწორედ სოციალურმა ქსელებმა და ბლოგერებმა ითამაშეს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდა საპროტესტო იდეების ერთმანეთში გაზიარება და მოვლენების გაშუქება მთელს მსოფლიოში.

დემოკრატიული ფასეულობების ევროპისა და არაბული აღმოსავლური ტიპის მმართველობის ქვეყნების შედარება ცოტა უხერხულია, მაგრამ ორივე შემთხვევაში არსებობს ეროვნული უსაფრთხოების, ან შეიძლება ითქვას ერთი ადამიანის ან მთლიანად მმართველი ჯგუფის პირადი ინტერესების, დაცვის აუცილებლობა, თუმცა თავისებური გაგებითა და მეთოდებით.

2012 წლის მონაცემებით, სოციალური მედიის მომხმარებელმა შეადგინა დაახლოებით ორ მილიარდზე მეტი, პლანეტის მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედი. ინტერნეტის სწრაფმა განვითარებამ სათავე დაუდო უზარმაზარი ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობების შექმნას. არსებული გამოკვლევებითა და დაკვირვებით, ინტერნეტ ქსელის გაფართოება პირდაპირპროპორციულად აისახება მთლიანი შიდა პროდუქტის გლობალურ მაჩვენებელზე, რაც ხელს უწყობს

კონკურენციის ზრდასა და ახალი ბაზრების შექმნას. ინტერნეტ სივრცეში მსოფლიო მასშტაბით წარმოებული კომერცია გულისხმობს რვა ტრილიონ აშშ დოლარის წლიურ ბრუნვას, ხოლო კიბერდამნაშავეთა ფინანსური ხარჯი წელიწადში ერთ ტრილიონ აშშ დოლარს აღწევს. ინტერნეტ ქსელის მომხმარებელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება (გუგლის ყოველდღიურმა მომხმარებელმა ერთ მილიარდს მიაღწია) და მისმა სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ისეთი სერიოზული პრობლემები, რომლებიც ინტერნეტის გამოყენების დადებითი ნაწილის უპირატესობის მნიშვნელობას საგრძნობლად ამცირებს და საფრთხეს უქმნის კიბერსამყაროს შესაძლებლობების სრულ გამოყენებას. ფაქტიურად, განვითარებულ ქვეყნებს გააჩნიათ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინოვაციური მომავლის შესაძლებლობა, მაგრამ ამავდროულად ისინიც და მთელი მსოფლიოც დგას საფრთხის წინაშე, რომ ყოველ ნოუ ჰაუს შეუძლია დიდი ზიანის მოტანა.

ინტერნეტი ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებას, განათლების, ინფორმაციისა და იდეების ადვილად გავრცელებას. ფაქტიურად, ეს პროცესი შეიძლება შევადაროთ XVIII – XIX საუკუნეებში წიგნის მასიურ ბეჭდვას და განათლების გავრცელებას, რასაც მოჰყვა ხალხთა თვითშეგნების ამაღლება და თვითმყოფად ერებად ჩამოყალიბების პროცესის დაწყება, რევოლუციური და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზით. ამიტომ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სოციალური ქსელები სულ უფრო სწრაფად ვითარდება, მაშინ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შესაბამისად მსოფლიოში გაიზრდება საპროტესტო გამოსვლების, კონფლიქტებისა და რევოლუციების რაოდენობა.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებას გააჩნია ასევე მეორე, უარყოფითი მხარე. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები საკმაოდ დიდ შესაძლებლობებს აძლევს კრიმინალურ სამყაროსა და ტერორისტულ ორგანიზაციებს. მათ მიერ სოციალური ქსელების გამოყენებით წარმოებს მოტყუება, დაშანტაჟება, იდეების მოპარვა, იდეოლოგიის გავრცელება, კორპორატიული შპიონაჟი და ა. შ. ინფორმაციული ტექნოლოგიების მიღწევები ასევე ბოროტად გამოიყენება რეპრესიული

ხელისუფლებისა და ავტორიტარული რეჟიმების მხრიდანაც. კერძოდ, ისინი ზღუდავენ თავიანთ მოქალაქეთა უფლებებს, კრძალავენ სიტყვის თავისუფლებას და ხელს უშლიან სხვისთვის ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაციის გავრცელებას. ახალმა ტექნოლოგიებმა შექმნა „კიბერ ომისა“ და „კიბერ შეტევის“ ცნებაც, რაც თავისთან მოიცავს სახელმწიფოებისა და ალიანსების მხრიდან ერთმანეთისთვის ინფრასტრუქტურის განადგურებასა და საიდუმლოების მოპარვას.

ზემოთ ნაწილობრივ განხილული იყო სოციალური ქსელებიდან მომდინარე ის ძირითადი საფრთხეები, რომლებსაც შეუძლიათ დიდი ზიანის მიყენება მსოფლიო საზოგადოებრიობასთვის და ისინი პირდაპირ ემუქრებიან ეროვნულ თუ საერთაშორისო უსაფრთხოებას. ამიტომაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობები ცდილობენ მოძებნონ გამოსავალი, რათა შენარჩუნებულ იქნას ინტერნეტის უზარმაზარი შესაძლებლობები, არ შეფერხდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინოვაციური განვითარება, არ დაირღვეს ადამიანის უფლებები და ამავდროულად, ყოველივე ამის ფონზე დაცული იყოს ეროვნული თუ საერთაშორისო უსაფრთხოება.

საკმაოდ რთული გადასაწყვეტია პრობლემა დაკავშირებული ადამიანის როგორც სოციალური ქსელების მომხმარებლის უფლებებთან. ეს უფლება ადამიანს მინიჭებული აქვს კონსტიტუციით, სხვადასხვა ქარტიებითა და საერთაშორისო აქტებით, მისი ხელყოფა კი დემოკრატიულობის პრინციპებიდან გამომდინარე ყოვლად დაუშვებელია. მის დარღვევას ან თუნდაც ნაწილობრივ შეზღუდვას ერიდება დემოკრატიულობის ინდექსის მაღალი თუ საშუალო ნიშნულის მაჩვენებელი ყველა ქვეყნის ხელისუფლება, რადგან ეს მისთვის პოლიტიკურად აშკარად წამგებიანი ნაბიჯი იქნება. ამიტომაც პოლიტიკური ლიდერები სოციალური ქსელების არასწორი გამოყენების პროცესს ხშირ შემთხვევაში უკავშირებენ ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას, ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს, რაც ხშირად ხდება ხელისუფლების მხრიდან სოციალურ ქსელებზე არასანქცირებული ფარული მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების მცდელობის მიზეზი. სწორედ აქ სრულდება დემოკრატია და იზღუდება მისი ფასეულობები. თუმცა ასევე მნიშვნელოვანი თემაა სამოქალაქო

ცნობიერება დაკავშირებული ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებთან და მოქალაქეთა მხრიდან სოციალური ქსელების სწორად გამოყენება, რათა არ მოხდეს ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებისათვის რაიმე სახის ზიანის მიყენება.

ქვეყნის უსაფრთხოებაზე ფიქრისას ყოველთვის ვაწყდებით გარკვეულ შეუთავსებლობას, რაც თავის მხრივ წარმოშობს სადაო კითხვას - უფრო მეტი დემოკრატია, აგრეთვე ტექნოლოგიური ინოვაციების მიერ შემოთავაზებულ კომფორტზე უარის თქმა, თუ სათანადო უსაფრთხოება? ყოველი ქვეყნის ხელისუფლების საზრუნავს წარმოადგენს მოცემულ ორ ცნებას შორის სწორი არჩევანის გაკეთება, მათ შორის გარკვეული ბალანსის დამყარება და შენარჩუნება.